„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს...“

გამოდის 1989 წლის მაისიდან

№ 9

ქართველი ერი

16 მარტი, 1990 წ.

ეროვნული მოძრაობის თავისუფალი გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია

გუშინ, 1990 წლის 15 მარტს, მუშაობა დაამთავრა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ, რომელიც ა.წ. 13 მარტს გაიხსნა საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში.

1990 წლის 9 მარტს, მთავრობის სახლის წინ გამართულ სახალხო მანიფესტაციაზე წაკითხულ იქნა - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართალის საზოგადოების, საქართველოს მონარქისტული პარტიის, თეთრი გიორგის კავშირისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების წ ი ნ ა რ დ ებ ა - ქართველი ერისა და საქართველოს ეროვნულ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისადმი. მასში ნათქვამია: „1990 წლის 13 მარტს, სამშაბათს. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოწვეულ იქნას სპეციალური შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი გაერთიანებები 20-20 კაცის წარმომადგენლობით... შეკრებაზე შეკრებილ უნდა იქნას ეროვნული ფორუმი, რომელიც დასვამს საკითხს ეროვნული ყრილობის მოწვევისა და საყოველთაო დემოკრატიული და პირდაპირი ფარული კენჭისყრით გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური მთავრობის არჩევის შესახებ...

...ხნეობრივი, ეროვნული, პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით ქართველი ერის ნებისა და მისწრაფების გამომხატველი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭო. საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის დასმის უფლება საერთაშორისო სამართლის წინაშე აქვს მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ერს, რომლის ნებისა და მისწრაფების გამომხატველი მოცემულ შემთხვევაში იქნება საყოველთაო დემოკრატიული და პირდაპირი ფარული კენჭისყრით არჩეული გარდამავალი - ოპოზიციური - კოალიციური მთავრობა“.



საგანგებო კონფერენციამ მუშაობა დაიწყო 1990 წლის 13 მარტს 10 საათსა და 20 წუთზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, წმ.ილია მართალის საზოგადოება, თეთრი გიორგის კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, დემოკრატიული პარტია, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი - საქართველოს ეროვნული მოძრაობის რადიკალური ძალები; 200-მდე ეროვნულ-პოლიტიკური პარტია თუ ორგანიზაცია, საზოგადოებრივი გაერთიანებები, წარმოება-დაწესებულებებისა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული წარმომადგენლები - რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, დავით აღმაშენებლის საზოგადოება, მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ექიმთა ასოციაცია, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სხვ.

კონფერენცია მიჰყავდათ - გატონ ზვიად გამსახურდიას (თავმჯდომარე), გატონ ირაკლი წერეთელს (მოადგილე) და გატონ თენგიზ სიგუას (მოადგილე).

კონფერენცია გახსნა გატონმა ზვიად გამსახურდიამ.

შესავალი სიტყვით გამოვიდა - გატონი ირაკლი წერეთელი.

სამდღიანი მუშაობის დროს კონფერენციამ განიხილა საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის აუცილებელი და მტკივნეული პრობლემების გადაჭრის გზები, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკონომიკური, სამართლებრივი საკითხები; გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობის პოზიცია ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორიცაა:

1. ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ორგანოს განსაზღვრა;
2. საგანგებო კონფერენციის მიერ საქართველოს ეროვნული ფორუმის არჩევა;
3. ბოიკოტი საქართველოს ე.წ.უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი;
4. ბოიკოტი სსრ კავშირის საოკუპაციო არმიის რიგებში სამსახურისადმი;
5. საქართველოს ე.წ.კომკავშირის თვითლიკვიდაცია;
6. დემოგრაფიული ექსპანსია;
7. ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის აუცილებლობა.

კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება და რეზოლუციები.

საგანგებო კონფერენციამ მიიღო გარათი თბილისში არსებული 34-ე საბჭოთა ტყვეთა ბანაკიდან 77 პატიმრის ხელმოწერით, რომლებიც ესალმებიან ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციას და უსურვებენ მას წარმატებით მუშაობას.

კონფერენციის მსვლელობის დროს კეთდებოდა განცხადებები სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების დეპუტატობის კანდიდატთა მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ. გატონმა თენგიზ სიგუამ - რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორმა გააკეთა შემდეგი განცხადება: ყველა კანდიდატმა, რომელიც წაყენებულია რუსთაველის საზოგადოების სახელით (გამგეობას კანდიდატები არ ჰყავდა წაყენებული) მოხსნა არჩევნებიდან თავისი კანდიდატურა. დარბაზი განცხადებას მხურვალე ოვაციით შეხვდა; გატონმა თენგიზ სიგუამ განაგრძო, რომ თავისი კანდიდატურები მოხსნეს:

საქ.მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, გ-ნმა გივი სანაძემ,
საქ.მეცნიერებათა აკადემიკოს-მდივანია, გ-ნმა ლეონიდე გაბუნიამ,
აკადემიკოსებმა: გ-ნმა გურამ გველესიანმა,
გ-ნმა ერეკლე გამყრელიძემ,
გ-ნმა თენგიზ ონიანმა,
გ-ნმა ჯუმბერ ლომინაძემ,
გ-ნმა მაღლაკ ზააღიშვილმა,
სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ლევან ჯაფარიძემ,
მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორმა - გ-ნმა თენგიზ სიგუამ,
სამეცნ.საწარმოო გაერთ-ბა «ანალიზხელსაწყოს» გენერალურმა დირექტორმა,
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ-ნმა ზაურ გუაშვილმა,
სამეცნ.საწარმოო გაერთ-ბა «ავტომატპროექტის» გენერალურმა
დირექტორმა გ-ნმა რევაზ სიგუამ.

10 მარტის საღამოს სხდომა ძირითადად ეროვნული ფორუმის კენჭისყრას მიეძღვნა. ეროვნული ფორუმის ფუნქციები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. საყოველთაო ეროვნული ყრილობის მომზადება;
2. საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი თანასწორი და ფარული კენჭისყრით - გარდამავალი კოალიციური, მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა;
3. კონკრეტულ სფეროებში მუშაობა;
4. ეროვნული მოძრაობის კოორდინირება.

კენჭისყრის შედეგად ეროვნულ ფორუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ორგანიზაციები (3-3 წევრის უფლებით):

საქართველოს ჰელსინკის კავშირი;
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია;
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
საქართველოს მონარქისტული პარტია;
წმინდა ილია მართალის საზოგადოება;
საქართველოს დემოკრატიული პარტია;
საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატთა კავშირი;

პიროვნულად არჩეულ იქნენ:

გატონები - ვაჟა ადამია, დავით ანდუყლაძე, გოგა ხაინდრავა, ჯაბა იოსელიანი, გია ბუმბიაშვილი, თენგიზ მანაგაძე, ელგუჯა წიკლაური, ზაზა სიხარულიძე, გურამ პეტრიაშვილი, ერეკლე საღღიანი, აღექსანდრე მელაძე, შალვა წიკლაური, ჯემალ გოლეთიანი, გია ცხვედაძე, თენგიზ კიკალიშვილი, თენგიზ სიგუა, აკაკი გაქრაძე;

ქალბატონი - ლუიზა შაკიაშვილი;

სამი წარმომადგენელი აფხაზეთის რეგიონიდან;

ერთი წარმომადგენელი საქართველოს სამღვდელოებიდან.

ეროვნული ფორუმის პირველი შეკრება დაინიშნა პარასკევს, 16 მარტისათვის.

ამით ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

Сегодня, как недавно в Фергане, безвинные турки-месхетинцы Ташкентской области Узбекистана опять оказались в трагической ситуации. Экстремисты сжигают их дома, грабят имущество, изгоняют из обжитых мест на произвол судьбы в другие регионы страны, где им опять не гарантирован нормальный быт и безопасность. Считаем единственным спасением народа от исчезновения -поселение его на исторической родине. В период "ферганской" трагедии грузинский народ, ссылаясь на межнациональный конфликт в своей республике, не защитил обездоленных турков-месхетинцев от их горя и не открыл путь к возвращению на свою родную землю. В результате чего наш народ был разбросан по всем уголкам России, лишен единства и обречен на новые трудности и непредвиденные обстоятельства в непривычных условиях.

Сегодня, учитывая критическую ситуацию, создавшиеся трудности и страдания турок-месхетинцев Ташкентской области, Грузинскому правительству и народу вторично представляется возможность проявить гуманность, благородство, протянув руку к обездоленному народу в момент его горя, представив, наконец, ему после многолетних мытарств историческое место проживание в Грузии, тем самым грузинский народ поднимет свой престиж в лице всей страны и даст заслон проискам националистов, разжигающих национальную вражду. Если 15 лет тому назад над нашим народом было совершено вопиющее преступление, кто не исправит его сегодня - явится повторным преступлением, а лица, способствующие этому, будут преступниками.

Еще раз надеемся на благородство Грузинского народа, руководимого Вами.

Копия телеграммы рассылается в ЦК КПСС, в Верховный Совет СССР, в ООН и всей мировой общественности.

Председатель оргкомитета общества "Ватан" Ю.Сарваров

г.москва, № 26-ТМ
25 февраля 1990г.

• • •

ТЕЛЕГРАММА ...

г.ТБИЛИСИ, ПЕРВОМУ СЕКРЕТАРЮ ЦК КП ГРУЗИИ

МЫ ТУРКИ-МЕСХЕТИНЦЫ ПРОЖИВАЮЩИЕ В УЗБЕКСКОЙ ССР.... ВСЕ ЭТИ ГОДЫ МЫ НЕ НА МИНУТУ НЕ ЗАБЫВАЛИ О РОДИНЕ И ВСЕЙ ДУШОЙ СТРЕМИЛИСЬ К ВОССОЕДИНЕНИЮ НЕ ТОЛЬКО С НЕЙ НО И С БРАТСКИМ ГРУЗИНСКИМ НАРОДОМ. ВСЯ ИСТОРИЯ ПРОШЛОГО ГОВОРИТ О ТОМ, ЧТО НАШИ ОТЦЫ И ДЕДЫ ВСЕГДА ЖИЛИ В МИРЕ И СОГЛАСИИ КАК ЕДИНАЯ СЕМЬЯ. МЫ ОЧЕНЬ НАДЕЕМСЯ ЧТО ВЫ ПРОЯВИТЕ МУДРОСТЬ И ПОНИМАНИЕ НАШЕЙ ПРОБЛЕМЫ И БУДЕТЕ СПОСОБСТВОВАТЬ ВОССОЕДИНЕНИЮ НАШИХ НАРОДОВ= ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВРЕМЕННОГО ОРГАНИЗАЦИОННОГО КОМИТЕТА ВАТАН ТУРОК МЕСХЕТИНЦЕВ ТАШКЕНТСКОЙ ОБЛАСТИ РАСУЛОВ РАССИД РАСУЛ ОГЛЫ

• • •

დეკეგრამა...

В ПОСЛЕДНЕЕ ВРЕМЯ АДМИНИСТРАЦИЯ ГРУЗИИ, ЧЕРЕЗ СВОИХ БЕСЧЕСТНЫХ ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ, ПЫТАЮТСЯ ДОКАЗАТЬ, ЧТО МЫ ЛЮДИ ТУРЕЦКОЙ НАЦИОНАЛЬНОСТИ ЯВЛЯЕМСЯ ОЧУСУЛЬМАНЕННЫМИ ГРУЗИНАМИ, ЭТО УТВЕРЖДЕНИЕ ЛОЖНОЕ, МЫ ТУРКИ-МУСУЛЬМАНЕ ПРОСИМ НАС И В ДАЛЬНЕЙШЕМ СЧИТАТЬ ТАКОВЫМИ А ТАКЖЕ УСКОРИТЬ ВОЗВРАЩЕНИЕ НА РОДИНУ И ПОСЕЛИТЬ В ПЯТИ РАЙОНАХ МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТСКОГО РЕГИОНА = КОПИЯ ТАКОЙ ТЕЛЕГРАММЫ ОТПРАВЛЕНА В ЦК КПСС К ГОРБАЧЕВУ - КРДАНИДЗЕ АХМАД

• • •

МЫ, СОВЕТСКИЕ ТУРКИ, ВЫРАЖАЕМ СОЧУСТВИЕ ПОСТИГШЕЕ НЕСЧАСТЬЕ АДЖАРИИ, ОДНАКО НЕКОТОРЫЕ РУКОВОДИТЕЛИ ГРУЗИИ ПОЛЬЗУЯСЬ ЭТИМ ХОТЯТ ПОСЕЛИТЬ ПОСТРАДАВШИХ В АХАЛЦИХСКИЙ РАЙОН ОТКУДА МЫ БЫЛИ ВЫСЛАНЫ В ПЕРИОД СТАЛИНИЗМА, СТРЕМЯТСЯ СТОЛКНУТЬ ДВА НАРОДА, МЫ ПРОТЕСТУЕМ, ПРОСИМ ПРЕОСТАНОВИТЬ НАДУМАННЫЙ ПЛАН - ТАШЛАК ФЕРГАНСКИЙ, УЛ.ЛЕНИНА 72 = КУКВАДЗЕ ШАРАФУДИН

• • •

НЕСМОТРЯ НА ТО, ЧТО НЕКОТОРЫЕ НЕЧЕСТНЫЕ ПРЕДСТАВИТЕЛИ АДМИНИСТРАЦИИ ГРУЗИИ ВСЕМИ НЕПРАВДАМИ ПЫТАЮТСЯ ДОКАЗАТЬ ЧТО ТУРКИ - ЭТО ОМУСУЛЬМАНЕННЫЕ ГРУЗИНЫ МЫ ЗАЯВЛЯЕМ ЧТО МЫ ТУРКИ-МУСУЛЬМАНЕ ПРОСИМ УСКОРИТЬ НАШЕ ВОЗВРАЩЕНИЕ НА РОДИНУ В ПЯТИ РАЙОНОВ РЕГИОНА САМЦХЕ-ДЖАВАХЕТСКОГО - КОПИЯ ТЕЛЕГРАММЫ СТПРАВЛЕНА В ЦК КПСС = Г.НАМАНГАН, УЛ.ЯНГИАГАДСКАЯ 17 - ДОЛИДЗЕ М.

• • •

რედაქციისაგან: შემოთავაზებული მასალა სპეციალურად არ ვთარგმნეთ. ასეთი დეპეშები უამრავია (რომელთა მოწოდებისათვის რედაქცია მადლობას სწირავს საქართველოს კავშირგაბმულობის მოძმე ეროვნების თანამშრომლებს); მაგრამ პარადოქსულია ის, რომ იგივე აზრისანი არიან ქართული გვარების მქონე კორესპონდენტებიც: ვ.გოჩაძე -სოფ.ტაშლაკიდან (ფერგანის ოლქი), რასიმ ჩხაიძე, გაფურ თათაშაძე, მძღოლი ჩიხაიძე, კინემექანიკოსი - ადილ თათაიძე, აღი ჩხაიძე, მ.ლომინაძე და სხვები.. ქ.ნამანგანიდან. აქ კომენტარი მართლაც ზედმეტია, მაგრამ...ავტორები აშკარად დარწმუნებულები არიან, რომ მესხეთი, რომელზეც მათ დღეს პრეტენზია აქვთ - თურქეთის ყოფილი ტერიტორიაა, ისინი თურქები არიან და მესხეთში კომპაქტური ჩასახლება მისცემს მათ საშუალებას სამშობლოსთან შეერთებისა. ამას ადასტურებს შემდეგი ფრაზები-"Стремились к воссоединению не только с ней /с родиной/, но и с братским грузинским народом", "Хотят поселить пострадавших в ахалцихский район, ...стремятся столкнуть два народа." რაც შეეხება" Наши отцы и деды всегда жили в мире и согласии-"ს საქართველოს ისტორიასა და დღევანდელობაში სხვანაირი მონაცემებია (ეს ქვემოთმოყვანილი სტატიის ჩანაწერშიც ჩანს).

გაზეთ «ქართველის დედას» რედაქცია კითხვით მიმართავს - 1955 წლიდან სკკპ წევრს, სოციოლოგსა და ადვოკატს, ბატონ ჯამბაკურ ბაქრაძეს - იცნობს თუ არა იგი ამ დოკუმენტებს და ხომ არ შეიცვალა (ამ მასალასთან გაცნობის შემდეგ) მისი აზრი თურქების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ?

ვინ

„თურქი-მესხები"?

ასკინძის რაიონი, სოფელი აწყვიტა
ანა და სალომე ივანიძეების ნაამბობი
საუბარი ჩაიწერა ნოდარ ივანიძემ

წამყ.: - რამდენი წლის ბრძანდებით სალომე ბებო?
სალომე:- ოთხმოცდასამის
წამყ.: - თქვენ, ანა ბებო?
ანა: - სამოცდათვრამეტისა
წამყ.: - თათრებთან ცუდად იყავით?
სალომე: - დიახ
წამყ.: - მარხვა ხელს ხომ არ გიშლიდათ რამეში?
სალომე: - არა
წამყ.: - მარხვის დროს თათრები თუ შემოგისწრებდნენ როგორ ლოცულობდით?
სალომე: - მაშინ ლოცვას ვეღარ ვატარებდით. ვცდილობდით თათრებს არ გაეგოთ, რომ ვმარხულობდით.
(ლოცულობს თათრულად, შემდეგ ქართულად).
-პური ვჭამე შუბლისთვინაო, წყალი დავლიე მუცლისთვინაო, თან მარჯვნივო, თან მარცხნივო
წამყ.: - გიშლიდნენ პირჯვარის გადაწერას?
სალომე: - დიახ. ...თათარი რომ შემოვიდოდა მერე საჭმელსაც ვეღარ ვაკეთებდით. შემოამტვრიეს კარები, შემოვიდნენ კინაღამ დაგვხოცეს და რაღა უნდა გაგვეკეთებინა?
სალომე: - შემოვიდოდა მახარობელი. რძალი მოგვყავსო.
„მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი,
შემოვდგი ფეხიგგწყალობდეთ ღმერთი.
ჩემი ფეხი, კვაღი ანგელოზისა
მიჭმია ბაღი, ამიხვიე თვალი
ქალი მომყავს ღამაზი, დამიცალე დარბაზი".
ანა: - როცა თურქი შემოესია საქართველოს მე იმ დროს სამი თვისა ვყოფილვარ ჩემი უფროსების მონაყოლს გეტყვით.

ვაჟები ზოგი მაღაროში იმაღებოდაო, ზოგი ბუხრებშიო (როცა თათრები შემოდიოდნენ), ასე ირჩენდნენ თავებსო; სახლში ქალები რჩებოდნენ. მართალია იმაღებოდნენ, მაგრამ მაინც, შემოესეოდნენ თათრები და მიყავდათ ტყვედ. II და 13 წლის გოგონებს აუპატიურებდნენ თანაც მშობლებს აყურებინებდნენ, საშინელ ტანჯვაში იყვნენო. ერთი ბერიკაცი იყო ალექსი პაპას უძახდნენ იმას ჰყავდა შვილი გიგა, ნასწავლი ბიჭი იყო. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, საბჭოეთში იყო ყოველთვის ამბობდა მე ვაჟკაცი ვარ და ჩემს საქართველოს, ჩემს მიწა-წყალს ამ ძალღებს არ ჩავუგდებ ხელშიო. ერთ თათარს რომელიც ძმადნაფიცი იყო გიგასი, ნათლიად დაუდგა, სამი შვილი მოუნათლა თათრის რჯულზე. ალექსი ეუბნებოდა, რომ შვილო, როგორც ძალღის კუდიდან არაფერი გამოვიდეს, არ გასწორდეს და ისევ დაიგრიხოს, მაკ თათრებისგან არ გამოვა არაფერი, თათრის გული ისეთია, რომ ჩვენთან არ გასწორდება. ნუ ენდობიო. მართლაც ისე წამებით მოკლეს ეს კაცი, რომ გულზე ტყვიის ჯვარი დაახატეს. შუბლზე ესროლეს, გულზე ესროლეს და მარჯვენა და მარცხენა მხარეს ესროლეს. როცა დაახალეს და ტყვიით ვერ მოკლეს (ძლიერი კაცი იყო), ხანჯლით მიადგნენ. ასე წამებით მოკლეს გიგა.

სოფელს პატრონი აღარ ჰყავდა; მანდ ერთი ჯაბო ცხოვრობდა თათარი, შეკრიბა თავისი ღირსეული ხალხი (1918 წელია) რომელთაც ქრისტიანების ხორცი და სისხლი სწყუროდათ. აარჩიეს ცამეტი კაცი ზოგი ჭარიდან ახალი ჩამოსული პირტიტველა ბიჭები, ჩვენ თქვენ კრება უნდა ჩაგიტაროთო უთხრეს, ეს ჯაბო კრებაზე თვითონ არ გამოჩნდა. ეს ცამეტი კაცი რომ აარჩიეს და წაასხეს ერთ-ერთმა ეს ჯაბო იცნო, ჩუმად ბუჩქებში დაიმალა და უყურებდა - ვნახო ერთი რა უნდათო.

ჩააგეს ფერხულში ეს ცამეტი კაცი, თან ვითომ დოლს უკრავდნენ. თან ათამაშებდნენ და აცეკვებდნენ, თან ხელს აჭრიდნენ, ცხვირს აჭრიდნენ და ასე დაჭრეს ასო-ასო ამ ცამეტ კაცში ერთი ზედგენიძე ნესტორა მიცვალებულებს შორის გადაბრუნდა ეგებ ცოცხალი გადავრჩეო. ბუჩქებში რომ ბიჭი იმალებოდა იმან მოყვა ეს ყველაფერი (ცოცხალია იგი ეხლაც).

ამ ჯაბოს უთქვამს ვინმე ცოცხალი არ გადარჩესო კარგად შეამოწმეთო მაშინ იპოვეს ნესტორი და ყველაზე ძლიერ ეგ აკუწეს. მერე იარაღი დაწმინდეს და სოფელში ჩამოვიდნენ. ამასობაში ეს ბიჭიც ჩამოვიდა და სოფელს შეატყობინა, რომ ეს ცამეტი კაცი ჯაბომ წაასხაო. ატყდა ამბავი სოფელში... მამაჩემის მამიდა საბირა ივანიძე ყვებოდა თქვენ რა იცითო ომიანობის დროსო, თურქების დროსო ჩემი ორი შვილიო და ქმარი მაღაროში წაიდნენ დასამალად მე და ჩემი გოგოები (ერთი 13 წლის და მეორე 14) სახლში დავრჩითო ერთი გოგო თონეში ჩავაძვრინე და მეორე ბუხარშიო თან თვითონ ამოვტენეო. კარებზეც რაც რამე მქონდა მივაფარეო, ცული დავიჭირე ხელში და დავჯექიო. ერთი ჯაბოს კაცი მოადგა კარებს. კარები შემოამტვრია ხელი შემოყო კარების გადასაკეტი რომ გაეღოთ, ვიფიქრე სანამ ეს რაშეს დაატირებს მე გავუსწორდებიმეთქი. დავარტყი და მაჯა გადავუჭერიო მაჯა შიგნით გადმოვარდა კაცი გარეთ დაეცა. გაქცეულა საბირა ბეგთან, ბეგი თათარი იყო, მუხლებში ჩაუვარდა და სთხოვა უნდა მიშველო კაცი შემომაკვდა, კარებს მიმტვრევდა და ნაჯახი ჩავარტყიო. ბეგმა უთხრა ნუ გეშინია გამომყევიო. მოვიდა ბეგი სახლთან დაუძახა თათრებს, მოკიდეთ თქვენს მკვდარს ხელი და გაათრიეთ აქედანო. მოჰკიდეს ხელი თათრებმა თავის თათარს და წაიყვანეს. ბეგმა უთხრა საბირას ნუ გეშინია მე ქართველი ქალის ძუძუ მიწოვია, მე ქართული სისხლი მაქვს, დედაჩემი ქართველი ქალია, დადეშელი ქალია. დედაჩემმა აქაოდა თავისი სამშობლოს სახელი არ დაიკარგოსო დამარქვა ხალითფაშა. ნუ გეშინიათ სულ მალე საქართველოში მოვალთ და თქვენ გაგახარებთ. მერე მეზობლებს ხოცავდნენ თურქებიო. არავითარი მომხდურები არა ყოფილან, ადგილობრივი თურქები აკეთებდნენ ყველაფერ ამას. იმათ აბრალებდნენ მომხდურებს, ისინი ჩამოდიან და ხოცავენო. სხვა თათარს ხელი არ ქონდა ჩვენთან, ადგილობრივის ვარდა. კლავდნენ, აუპატიურებდნენ. ახლა ჩამოსასალებას ითხოვენ. ძალღის კუდი არ გასწორდებაო" ნათქვამია, ამ ხალხს რომ ჭკუა ჰქონდეს იმათი კალთა ჩვენ კალთაზე არ უნდა მოგვარტყმევინონ. იმათი კალთაც კი სისხლიანია. როგორ ბედავენ და აქაურობას კიდევ ითხოვენ. მე გადმოცემით გეღაპარაკებით და ვისაც ნამდვილად უნახავს აბა ისინი ალაპარაკე, იმათ გულზე სისხლი არ გამშრალა და თვალზე ცრემლი.

ამდენი ვაჟკაცები ჩაუხოცეს, აკვნიდან იღებდნენ ბავშვებს და ხოცავდნენ. თქვენ განათლებული კაცი ხართ და ნუ დაიწყებთ ამ საქმეს, ისე ნუ ვიზამთ, რომ ამ ტკბილ საქართველოს ისევ ეგ ძალღები შემოუსიოთ და ხალხის სისხლი ვალევინოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხარო პარალელები, მოწვანიეგა და იმედები

ისინი ორნი არიან: ჰუსეინ ხალილოვი (პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ გამგეობის წევრი) და ქერიმ ქაზიმოვი (აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი).

ხალილოვი დმანისელია, ამჯერად ბაქოში ცხოვრობს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორია, შექმნილ სიტუაციას საღად აფასებს, იცის რაც უყვეს მის ხალხს, წუხს, ამბობს...

–პროვოკაციას, რომელიც წუთიდან-წუთზე იცვლიდა სახეს და ხალხთან ურთიერთობას გვიშლიდა, დასასრული არ ქონდა. საოცარი ჭორები ვრცელდებოდა ქალაქში, ხან რა ამბავი მოჰქონდათ და ხან რა... თავდაპირველად დედაქალაქიდან აგორდა პროვოკაცია, რომელიც პროვინციებს მოედო, გვეგონა ბაქოში მაინც მივაღწევდით მდგომარეობის სტაბილიზაციას, მაგრამ... ორგანიზაციიდან ორგანიზაციებში დავდიოდით, ეზო-ეზო, რაიონიდან რაიონში და ვითხოვდით: დამშვიდდით, დაწყნარდით, ინფორმაციას მხოლოდ ჩვენგან მოტანილს ენდეთო, არაფერი გამოვიდა, იმდენი დეზიმფორმატორი დადიოდა ქალაქში, რომ შეუძლებელი გახდა მდგომარეობის კონტროლი. იყო მომენტი როცა მაინც მივაღწიეთ მიზანს, ხალხი დავაშოშმინეთ, სწორი და სამართლიანი შეფასებით ვაპირებდით მათთან დიალოგს, კალაპოტიდან ამოვარდნილი სიტუაციის სტაბილიზაცია მოვახერხეთ და მაშინ, როცა თითქმის ყველაფერი კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო ვინ გაცალა, არა და რა ღამაზი იყო ყველაფერი, ერთად ვიყავით, პირველად ვიყავით ასე ახლო ყველა, ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი, იმ წუთს ერთი აზრი გვქონდა, მივხვდით, რომ დამთავრდა ქარის წისქვილებთან ომი, თუმცა ეს ჩვენ ბევრად ადრე ვიცოდით, მაგრამ... არ ამოგვასუნთქინეს, თუ აქეთ, თუ იქეთ, რომ გვეგონა ერთი პრობლემა მოვიცილეთ, ახლა სხვა ჩნდებოდა, ძალა გამოგვაცალეს... და ბოლოს მაინც გვაჯობეს...

–ჩემი ხალხი მორწმუნეა, ჩვენი სარწმუნოება სიკეთეს ღაღადებს. ღირსებით წევს თავს ახალგაზრდა ქაზიმოვი.

–კი მაგრამ სუმგაითი? როგორ შეგეძლოთ... თავს ვერ ვიკავებ, ყველა მტკივა... ჩემი 9 აპრილი... სომხური სუმგაითი, ბაქოს სისხლიანი 19-20 იანვარი.

–ხანუმ, თავს აქნევს ხალილოვი, აეროპორტ „ზვარტნოცშიც“ ჩვენ ვისროლეთ? ვიცი არ დამიჯერებთ, მაგრამ პირველებს ჩვენ არასოდეს გაგვისვრია... მოდით ერთად გავარკვიოთ ან ვიფიქროთ მაინც, რატომ დღემდე ვერ „დაადგინა“ საკავშირო სუკმა, ვისი იყო ვერტმფრენი, რომლითაც ყარაბახში მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები მიჰქონდათ? ან იქნებ ის არის მართალი, ჩვენში, რომ ხმებს ავცელებდნენ – ქართველები სომხებს იარაღს უგზავნიანო? ჩვენ ყოველთვის ვიცოდით საიდან ქროდა ქარი, ვის რა უნდოდა, მაგრამ ხალხთან სხვას მიჰქონდა ინფორმაცია და არ ქონდა დასასრული ჭორებს... ჩვენ ყოველთვის ვიცოდით და ვიცით, რომ სომეხს და აზერბაიჯანელს, ქართველი არ წააქეზებს.

–ჩემი ხალხი მორწმუნეა, არ ვიცი თქვენ რას ფიქრობთ ჩვენზე, მაგრამ ჩემმა ხალხმა კარგად იცის რომ ღმერთი ერთია, გზები სხვადასხვა და ჩვენც ყველანი სხვადასხვა გზებით დავდივართ... ღმერთმა ხომ იცის რა გვინდა, თუ ამდენი ხანი ჩვენს მიწაზე ყველანი კარგად გრძნობდნენ თავს, ახლა რა მოხდა? რა, არ მოეწონათ აზერბაიჯანელი ხალხის გამოღვიძება? ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ შეაწუხათ? რა, ჩვენი მიწა მათი სამშობლო არ არის? ჩვენ რა, მარტო ჩვენთვის გვინდა თავისუფლება? გარდა აზერბაიჯანელებისა ვინ ცხოვრობს ჩვენს მიწაზე ცუდადა? ჩამოდით, ნახეთ, ჩვენი ხალხი გამორჩეულად გაღატაკებულია, ჩვენი ხალხი უპრეტენზიოა, გამტანი, თავისას დაგითმობს... ასეც იყო, ბევრი შევიკედლეთ, ბევრს ჩვენზე კარგი ბინა მივეცით, სამსახური, თავზე დაგვასხდნენ, ვითმენდით. დაუნახაობა საშინელება ყოფილა, ცუდია როცა სტუმარი შენს სახლში მასპინძლობას დაგიწყებს და თანაც ცუდი მასპინძელი იქნება... ქერიმ ქაზიმოვი ახალგაზრდაა ფეხზე დგება და ისე მთხოვს ვაცალო და მაინც...

–განა მაგის „კარგი“ მაგალითი თქვენმა მოძმეებმა არ გვიჩვენეს, აქ მარნეულში აზერბაიჯანელებმა ჩვენი დროშები ჩამოხსნეს და „შაჰი მოდის, შაჰიო“ გაყვიროდნენ, როგორც ვიცი შაჰმა არც თქვენს ხალხს აყარა კარგი დღე თავის დროზე? მარნეულელი აზერბაიჯანელები „კარგი სტუმრები“ არიან?

ქაზიმოვი ხალილოვისკენ იხედება, რაღაცას ეკითხება და ჯდება, ხალილოვი აღაღად იღიმის, თავს კვლავაც დანანებით აქნევს.

–მე საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ, თუ ქართული ცუდად ვიცი უნდა მეპატიოს, ან ცუდად მასწავლიდნენ ან საერთოდ არ მასწავლიდნენ. რა კარგი იქნება ერთი რამე რომ შევიგნოთ ყველამ: ჩვენ მონები ვართ, მონას რასაც ჩასძახებენ იმას ამოგძახებს, ჩემმა ხალხმა დაიჯერა როცა უთხრეს, „„თავს უშველეთ ქართველები მოდიან?“ დაიჯერეს ეს, აყვნენ პროვოკაციას, სად იყავით, რატომ ერთმა მაინც არ ჭკითხა მათ, ვინ გითხრათ, საიდან მოიტანეთო. ხალხი გააგიჟეს – მიწებიდან აყრას გიპირებენ, საქართველოდან გაგყრიანო, ღირდა ალბათ ამის კითხვა, გაგება... ჩვენ უკვე ყველაფერი კარგად ვიცით, და თავადაც მოუვლით ამ საქმეს, მაგრამ ახლა მაინც ისაა მთავარი, ყველამ იცოდეს ამ დალოცვილ კავკასიაში, რომ მონები ვართ და გამოღვიძებაა საჭირო... თანამდებობის პირმა, რომელსაც გონია, რომ საფლავშიც რაიკომის მდივნად ჩავა, ეშლება, სამშობლოზე დიდი რა თანამდებობა შეიძლება იყოს? და მეორემაც, რომლის ცხოვრების წესით თანამდებობა აბსურდია, უნდა იცოდეს, რომ მაინც მონაა და თავისუფლება ბრძოლის გარეშე არ მოიპოვება. თავისუფალ კაცს კი ვერანაირი „მესამე“ ვერ მოერევა...

–დავდივარ და ვფიქრობ, ხალილოვს ცრემლები აღრჩობს, რატომ უნდა ვიყო მონა რატომ არ შეიძლება ყველანი თავისუფლები ვიყვეთ, ყველანი, ყველანი... რა უნდათ ვინ, ვინ იყო ის განსაკუთრებული „მესამე“, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მეზობლები ასე წავკიდებოდით ერთმანეთს, რამდენი ვეცადეთ; რა არ გავაკეთეთ მაგრამ ის წყეული „მესამე“ ყოველთვის გვჯობნიდა. არა და ამ უჩინარი ხელით მოეწყო ეს სისხლიანი იანვარიც არა და იყო შანსი... ის რაც ჩვენთან ჩაიდინეს არც ერთ ჩარჩოში არ თავსდება, იქ ყველაფერი ერთმანეთში გადაიხლართა, ყველაფერს სამშვიდობო ეფექტი რომ დაეტყო და სიმშვიდე და მშვიდობა იყო მოსალოდნელი, აი მაშინ დაიწყო... მანამდე კი არც ჩვენთვის და არც სომხებისათვის არავის უთქვამს: შეჩერდით, დამშვიდდით, დავსხდეთ და ერთად გავერკვეთო. პირიქით, ერთმანეთზე გვაქეზებდნენ, საუკეთესო შვილებს გვიხოცავდნენ, აკი ჩვენი ხალხი პირველად სომხებმა გამოყარეს, პირველი ლტოლვილები განა ჩვენები არ იყვნენ? განა უკანასკნელმა აზერბაიჯანელმა ჯერ კიდევ 1988 წლის დეკემბერში არ დატოვა სომხეთის მიწა? მაშინ სად იყვნენ? სად ვიყავით ყველანი როცა „ვიღაცამ“ ეს ბინძური ომი დაიწყო და ორთავე მხარე აგვიყოლია? პარეირ აირიკიანი სულ ამას გაიძახოდა, ჩვენი ღიდერებიც ამას ამბობდნენ: უბედურება სხვა რამეში ეძებეთ, ერთმანეთს ნუ დავჭამთო და როცა ორთავე მხარე მიზანთან ახლო მივდიოდით, ისევ გვშლიდნენ, რაიმე ახალს მოიგონებდნენ, ხან დაბეჭდავდნენ რაიმეს, პრესაში, ხან დანაშაულს რომელიმეს სახელით ჩაიდენდნენ და იწყებოდა ყველაფერი თავიდან...

–ჯარი ბაქოში თბილისის სახელობის გზატკეცილით შემოვიდა, მოედანი სადაც ჩვენ ვიდექით „წითელი არმიის“ სახელი ერქვა, დღეს მას „სისხლიან მოედანს“ ეძახის ხალხი. 100 000-ზე მეტნი ვიყავით, არმია იერიშზე ისე მოულოდნელად და ისეთი სისწრაფით გადმოვიდა, რომ თვალის დახამხამებას ვერ მასწრებდა კაცი, გადმოთელეს პიკეტები და მანქანები, სამი მხრიდან შემოგვერტყნენ, სროლით მოგვადგნენ, ზღვაში უნდოდათ ჩვენი შერეკვა...

–ჩვენი მთავრობის სახლში... ვამბობ მე და ქაზიმოვს თვალებს ვერ ვუსწორებ ასე მგონია ჩვენი ბრალია, რომ ჩვენი 9 აპრილის შემდეგ, ახლო მეზობლებმა ჭკუა ვერ ისწავლეს და მათი გოგო-ბიჭების საფლავებისთვის გაჭრილი მიწა ჯერ კიდევ ცრემლშეუმშრალია, ანდა იმ სომეხი ბიჭის საფლავს რა ვუყოთ, „ზვარტნოცში“ რომ ესროლეს, დღესაც ღია ჭრილობად აქვს სომეხ ხალხს თავისი გამორჩეული შვილების საფლავები...

–თქვენ გინახავთ დახვრეტილი სახლი? – ხელები უკანკალებს ხალილოვს – არა? მისმინეთ, ხანუმ, მე, იქვე მოედანთან, თექვსმეტ სართულიან სახლში ვცხოვრობ, იგი დახვრიტეს, სახლი დახვრიტეს, ფოთლებივით ცვიოდა ხალხი სახლის აივნიდან, ერთი ბიჭი მოკლეს, წინა კვირას მისი ქორწილი იყო, გოგომაც მოიკლა თავი, ერთად მოასვენებდნენ, საშინელი სანახავი იყო. თქვენ გინახავთ როგორ გამოიყურება დახვრეტილი სახლი, ხანუმ? იგი სურათს მაწვდის, მორიდებით მაწვდის, საშინელებას მარიდებს, საკუთარი ჭირით გაოგნებულს ავიწყდება, რომ ყოფილი „საბჭოთა არმიის“ მოედანი საკმაოდ შორს არის აქედან და აქვე, სულ ახლოს, ჩვენს გვერდით არა ძარტო ცხრა აპრილელთა გმინვა იგრძნობა, არამედ „ცხრა მარტელებიც“ ჩემთან არიან და 21 წლის თებერვალში „სახელოვან“ მეთერთმეტე წითელ არმიასთან მებრძოლი ჩემი ძმები და ნორჩი დაიკოც აქვე განისვენებს... ვუყურებ სურათებს... საბჭოთა არმიას ჭეშმარიტად ყველაფერი შეუძლია, საბჭოთა არმია ყველაზე ძლიერი და ყველაზე ჰუმანური არმიაა მსოფლიოში...

–საშინელება იყო, ხალხი გაოგნდა, ჯერ ეგონა ჰაერში ისროდნენ, მერე შუქი გამორთეს და... სიბნელეში დარჩენილები ერთმანეთში ავირიეთ, ბევრი დახოცეს, ძალიან ბევრი... უმარავი... მარტში მიახლოებით მაინც გვეცოდინება რამდენი დავკარგეთ, სწავლა, რომ განახლდება, ჯერ 5 თებერვალს უნდა განახლებულიყო სწავლა, მერე 19 თებერვალს, ახლა 5 მარტსო, ამბობენ და ვნახოთ, მოედანზე უმეტესობა სტუდენტობა იდგა, დახოცილთა შორისაც უმეტესობა ახალგაზრდაა. გენახათ ნეტავ როგორ გაგვითელეს და დაგვიმახინჯეს სულები...

–ესეც არ გვაკმარეს, მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო, სახალხო ფრონტის გამგეობის წევრთა უმეტესობა ციხეში ჰყავთ გამოკეტილი, ცუდად არის საქმე... აი იმათ რომ მაინც ჰქონოდათ ერთი აზრი, იქაც ორი ფრთა იყო – ერთი ლიბერალური და მეორე რადიკალური... თქვენ ჩვენზე ბედნიერი ხალხი ხართ, ყველანი ერთადა ხართ, ყველა პარტიას ერთი აზრი აქვს, ყველა პარტია ერთადა ხართ, ერიც და ბერიც თქვენს მხარეზეა, ჩვენ კი... ინტელიგენციამ ცოტა ახლა მოიხედა ჩვენსკენ, 19-20 იანვრის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, მანამდე კი ვინ სად იყო და ვინ სად... ფულის მკეთებლები თავისთვის არიან და დროს ელოდებიან, მთავრობა სკამის შენარჩუნებას გადაყვა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მოკლედ მრავლპარტიულობა იმიტომ უნდა იყოს, რომ სამშობლო ჯოჯოხეთიდან დაიხსნას და არა იმიტომ, რომ ძალები დაქსაქსოს და ხალხი დააბნიოს, ვინ ვის გაყოლოდა ვეღარ გაიგეს... აი თქვენთან კი, როგორც აქაურები (აზერბაიჯანელები) გვეუბნებიან, ყველანი ერთადა ხართ და ერთ მუშტად ხართ შეკრულნი. ღმერთი იყოს თქვენი შემწე...

ამინ! ამინ! ამინ! კვერს ვუკრავ მეც და მიხარია, რა კარგია, რომ ერთადა ვართ, რა ბედნიერებაა ერთად ყოფნა... ვაშაააა ვიძახი ჩემთვის, უხმოდ, და ვტირი, სიხარულით ვტირი, ერთად ყოფნით გამოწვეული სიხარულით ვტირი... ღმერთო, შენ უშველე ჩემს ხალხს.

–დაჭრილები ვის ხელით, ვის მანქანებით გაყავდა. სამი გზა მოვასწარი, მეოთხეჯერ მარჯვენა ფეხის კუნთში „მოხეტიალე“ ტყვია მომხვდა და თავად შევიქენი გადასარჩენი. დაჭრილებს ადგილზევე ხოცავდნენ, გვამები სატვირთო მანქანის მსგავსი ტანკით გაქონდათ, სად არავინ იცის, ალბათ მაინც ღია ზღვაში, კუნძულზე...

–აქაც და იქაც არმიამ ბრძანება შეასრულა, აქაც და იქაც... ვამბობ და მეჩვენება, რომ ქვეყანა იქცევა, ქვეყანა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მეფის ძალაუფლებას გამოგლიჯა ხელიდან და აი, ამ დღემდე მოგვიყვანა... როცა ძმათა სისხლი იღვრება და ბოლო სად იქნება ჯერ კიდევ საკითხავია.

–ბრძანება? თქვენმა ბიჭებმა თავი ისახელეს, გაიგებდით ალბათ, ქართველმა ჯარისკაცებმა ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადეს, ქართველებმა არ გვესროლეს.... ქართველებმა არ გვესროლეს, ეს ყველამ უნდა იცოდეს, ყველამ. კარგი ბიჭები გყავთ, ბევრს თავად ვიცნობ, ათი კაცი ჩვენ მოვიყვანეთ წითელ ხიდამდე. რა გზებით? ეს საიდუმლოა, თქვენებმა დიდი საქმე გააკეთეს, ეს ჩვენთან ყველამ იცის, თქვენებმაც უნდა გაიგონ... მადლობა. ქაზიმოვი ფეხზე დგება და პატივისცემის ნიშნად თავს მიკრავს.

–გზა ხსნისა, როგორი გესახებათ იგი?

ქაზიმოვი უფროსი მეგობრისაკენ იხედება, ხალილოვი დინჯად, აუჩქარებლად და დამარცვლით ამბობს:

ერ-თი-ა-ნო-ბა-ში! კავკასიელი ხალხის ერთიანობაში, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის ერთიანობაში, ჩვენს შორის თიქოს და ისტორიულად არსებული შუღლი ყურით მოთრეულია და თუ არსებობს, მისი გაღვივებით „მესამე“ ითბობს ხელს, ჩვენ საქმით უნდა დავამტკიცოთ, რომ ერთად ცხოვრება შეგვიძლია, ჯიბრისა და ჯიუტობის დროს დამთავრდა, თუ დროზე არ შევაშველეთ ხელი ერთმანეთს, არაფერი გამოვა, უფრო მეტიც, რიგრიგობით ჩავყ-

(იხ. მე-6 გვ.)

რ ე პ ე ტ ი ც ი ა ?

„მოსკოვსკია ნოვოსტი“ № 7
17 თებერვალი, 1990 წ.

*ბაქოში ნანახის შემდეგ ის განადგურებული და გარბენილი ჩამოვფიქრდი. მაფრთხილებ დავჯილი ბაგრიდასთან – ამ შეგრძნებავ შფაბეჭდილებების დაწოვება ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე პ ე ტ ი ც ი ა №...

რუსეთის იმპერიაში პრეზიდენტის ბოლშევიკური ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის

როგორც ჩანს კრემლმა ბაქოს სისხლიანი შტურმით დაამთავრა მის მიერ შეესანიშნავად შენიღბული და „ყარაბაღის" რგოლით სტარტმიცემული ჯაჭვური სერიალის პირველი ეტაპი. ის,რომ სცენარი დროის მთელი ამ მონაკვეთისათვის წინასწარ იწერებოდა დღეს საეჭვო აღარაა.

გავიხსენოთ აირიკიანის პოზიცია,რომელიც ამ სცენარში ,,ანაირად არ თავსდებოდა; მისი სამშობლოდან გაძევება...იგივე პლატფორმის მქონე აზერბაიჯანელი და სომეხი მებრძოლების დევნა, კომპრომეტაცია,შევიწროება და ბოლოს ჩამოშორება. „ყარაბაღში" მდგარი ჯარის ნაწილებით ხალხის გაღიზიანება,ერთმანეთზე წაქეზება, მიზანში ამოღებული და ღულამიშვერილი ხალხისათვის იარაღის ძაღის ჩვენება, და ბოლოს თავდაცვის მიზნით იარაღის შეძენის სურვილის გაღვივება ორივე ერის წარმომადგენლებში. მუდმივ დაძაბულობასა და შიშში მყოფი,უკვე ღონემიხდილი, უსასოდ დარჩენილი ხალხისათვის იარაღის შესაძენი არხების გახსნა... და მაინც, თანდათანობით იმარჯვებდა საღი აზრი, კრემლს დროდადრო კორექტივების შეტანა უხდებოდა სცენარში, ვინაიდან ხანგრძლივი სტაბილური მდგომარეობის შემთხვევაში ყარაბაღიდან ჯარის გაყვანა გახდებოდა აუცილებელი. კიდევ ერთი – თუკი ბაქოში ჯარისკაცი ოკუპანტი იყო, განა ყარაბაღში იგი სხვაგვარად მოიქცეოდა? ასე რომ... სტაბილური პერიოდების შემოკლებისათვის დიდი ენერგიის დახარჯვა არ ხდებოდათ სცენარის ავტორებს.

ამ მექანიზმსაც აუღეს ბოლოს აღღო ორივე მხარემ.აზერბაიჯანში განსაკუთრებით გამოიკვეთა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის (ასფ) პოლიტიკური პლატფორმა, მისი საღი ნაწილი კონტროლს უწევდა არსებულ მდგომარეობას, მუშაობდა მოსახლეობასთან, გამოიძებნა სომეხ მეზობლებთან დიალოგის საშუალებები,რასაც კვლავ, უკვე აშკარად ინსპირირებული სისხლიანი აქციები მოყვა; ისევ უკან დახევა; ასფ-ს რიგებში განხეთქილებებისა და ფრაქციების შექმნის მცდელობა – ეს უკვე გასული წლის ბოლოს. ამ მიზნით იქნა დეკემბრის ბოლოს დარბეული მშვიდობიანი დემონსტრაცია ჯაღაღაბადში,რომლის შემდეგაც ცეცხლმსროლელი იარაღით დაჭრილი 152 ადამიანი (ერთი მათგანი გარდაიცვალა) საავადმყოფოში მოათავსეს.

6 იანვარს სუკ-ისაგან მოსყიდული დამნაშავეების მიერ უნდა მომხდარიყო ასფ-ს ლიდერებთან ანგარიშსწორება,რათა 8 იანვარს არ შემდგარიყო ასფ-ს კონფერენცია. იმის შემდეგ რაც ეს საშიშროება თავიდან იქნა აცილებული,კონფერენციამ აირჩია ახალი გამგეობა და ასფ-ს პოზიცია სრულებით გამოიკვეთა. მისი უმთავრესი მიზანი იყო ბრძოლა აზერბაიჯანის სრული დამოუკიდებლობისათვის (სსრკ-დან გამოყოფა) 13 იანვრისათვის ბაქოში დაინიშნა მიტინგი.

სწორედ აქ ამუშავდა მექანიზმი... ბაქოში როგორმე უნდა ჩამდგარიყო ჯარი, აუცილებელი გახდა კომენდანტის საათი. 1990 წლის 8 იანვარს გადაწყდა ბაქოს ბედი; მაგრამ ასფ-მ ესეც გაითვალისწინა. ყველა ზომა,რაც კი შესაძლებელი იყო მან მიიღო. ასფ-მ შეადგინა რაზმეულების სიები,რომლებიც მილიციის მუშაკებთან ერთად, 9 **იანვრიდან, ქალაქში იმორიგეობდნენ.**
მაგრამ 12-13 იანვარს ქალაქის ქუჩებში ადგილობრივი მილიციის ქვეგანყოფილებების მუშაკთა კვალიც კი გაქრა.რამოდენიმე შემთხვევითი ექსცესის დროს რომელნიც ადმინისტრაციული და სამართალდამცველი ორგანოების შენობების სიახლოვეს მოხდა,მილიცია არ ჩაერია.მზადდებოდა 13 იანვრის „სომეხთა ოჯახების დარბევის" აქცია,რომელიც სუკის აგენტებმა და მათმა ,,აქირავებულმა თანამოაზრეებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს. ამას, ერთობ სუსტი და დაუჯერებელი აზერბაიჯანელი მოსახლეობისაგან „საზღვრის გარღვევის" (159 კილომეტრზე) აქცია მოყვა. მიზანი აქაც ნათელია – (იარაღის შემოიტანენ,ერთმანეთს დაერევიან),საკომენდანტო საათი აზერბაიჯანის მთელს ტერიტორიაზე...

13-14 იანვარს სომეხთა ოჯახების რბევა მიმღინარეობდა გაურკვეველი პირებისაგან. მილიცია კვლავ არ ერეოდა. 15 იანვარს ასფ უკვე აკონტროლებდა მდგომარეობას მთელს რესპუბლიკაში; რბევები ყველგან შეწყდა. იყო ცალკეული შეტაკებები რომლებსაც მსხვერპლი არ მოყოლია.მაგრამ 15 იანვარს მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში აზერბაიჯანის სასაზღვრო და სომხეთთან საზღვრის ზოგიერთ რაიონში კომენდანტის საათი გამოცხადდა. ჩამოვიდნენ პრიმაკოვი და მირენკო.ბაქოში სიწყნარე სუფევდა,მაგრამ იგი თანდათან ივსებოდა სამხედრო ტექნიკით. 17 იანვარს ცკ-ს წინ მოეწყო დემონსტრაცია,რომელმაც რესპუბლიკის მთავრობის გადაყენება მოითხოვა,რამდენადაც ხალხმა გაიგო,რომ რესპუბლიკის ხელისუფლებამ სიტყვიერი თანხმობა განაცხადა ბაქოში ჯარის შემოყვანაზე. ამ დღეებში მილიცია არ ჩანდა,ქალაქს მხოლოდ სახალხო ფრონტის რაზმეულები აკონტროლებდნენ. 18-ში,როდესაც ასფ-ს გამგეობის წევრები შეხვდნენ ვეზიროვს, პრიმაკოვს და გირენკოს,გირენკომ განაცხადა: ჩვენ განვიხილავთ ხალხის მოთხოვნას რესპუბლიკის მთავრობის გადაყენების შესახებ,მაგრამ ეს არ მოხდება „ბრბოს დაწოლით"; დაუშვებელია,რომ რესპუბლიკის მთავრობას ცვლიდეს არა სკკპ ცკ, არამედ „ცკ შენობის წინ შეკრებილი ბრბო".პრიმაკოვმა აღნიშნა, რომ მათ იციან ასფ-ს ზრახვები 20 იანვრისათვის სახელმწიფო გადატრიალების მზადების შესახებ; ისიც იციან,რომ ბაქოში ჯარი არაა საჭირო,ჯარი იმისთვისაა საჭირო,რათა თავი დაიზღვიონ აზერბაიჯანის სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის მცდელობისაგან: „ჩვენ ვიცით ეს,ვერ დავუშვებთ და ნებისმიერ საზღვაურად არ დავუშვებთ ამას"-თქვა მან.არის იაზოვის გრძანება – განაგრძობდა იგი,რომ ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი გავხსნათ გამჭოლი ცეცხლი. (დღეს ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ ასფ-სთან მოლაპარაკების დროს შეთანხმებას ვერ მიაღწიეს). 19 იანვარს 17 საათზე ბაქოს ხელისუფლება,პრიმაკოვი და გირენკო ევაკუირებულნი იყვნენ არმიის შტაბში (რომელიც ბაქოში მდებარეობს) პირადად იაზოვი და შს მინისტრი ბაკატინი ხელმძღვანელობდნენ ბაქოს დაპყრობის ოპერაციას. მანამდე კი 16 საათზე,ასფ-ს გამგეობისთვის სრულიად უცხო პირები ასფ-ს სახელით შეიჭრნენ ტელევიზიაში და მოითხოვეს ტელევიზიის მუშაკთა სახლებში გაშვება. როდესაც ასფ შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, ხალხის დაწყნარებას და კვლავ დიალოგი შესთავაზა **განმკარგულებელთ**, კერძოდ აზერბაიჯანის კპ ცკ მეორე მდივანთან პოლიანიჩკოსთან ლაპარაკის დროს,მან თქვა,რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია და არაფრის გაკეთება **ადარ** შეიძლება.

რათა ასფ-ს გამგეობის წევრებს ტელევიზია არ ეგდოთ ხელთ და ხალხისათვის არ მიემართათ (ან რაიმე უფრო სერიოზული განცხადება არ გაეკეთებინათ) 19[15]-ზე სამხედროების მიერ **ტელესადგურის ძენობა აფეთქებულ იქნა.**

ოპერაცია ზუსტად 00 საათზე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო. მოხდა საკომენდანტო საათის შემოღების, სსრკ კონსტიტუციის 14 პუნქტის 119-ე მუხლის უხეში დარღვევა,მაგრამ რად უნდათ ბოლშევიკების ღირსეულ მემკვიდრეებს კონსტიტუცია?! მხოლოდ იმისათვის,რომ გაიმყარონ და კასტურ კუთვნილებად აქციონ თავიანთი სავარძლები, პრეზიდენტ-იმპერატორის უფლებამოსილებებით ამოხადონ დამონებულ ერებს თავისუფლების მოწყურებული სული.სწორედ ასეთი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები ქვემეხებით,ავტომატებით, ტანკებით,ტყვიამფრქვევებით ხოცვა დღამდე არ შეწყვეტილა. ასფ-ს ცნობით 20 იანვრის დღის 12 -საათისათვის საბუთების მქონე დაღუპულთა რიცხვი 124 იყო. დანარჩენებისა ასობით ისაზღვრებოდა; არის ზუსტი ცნობები იმის შესახებ,რომ დაჭრილებთან ექიმებს არა თუ არ უშვებენ,არამედ მათ ტყვიების დამატებითი ჯერით უმასპინძლებოდნენ.

19-20 იანვარს ბაქოს სისხლიანი მოვლენების ფაქტების შემსწავლელი წინასწარი საგამოძიებო კომისიის ცნობით 20 თებერვლისათვის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ მოკლულია 160 კაცი. მათ შორის:

18 წლამდე ასაკისა – 9
ქალები – 8
მოხუცები – 16
აზერბაიჯანელი – 149
რუსი – 6
სხვა ეროვნ. – 7

დაჭრილია – 400. მათ შორის უმრავლესობა მძიმედ.

18 წლამდე ასაკისაა – 13
ქალია – 16
მოხუცია –26

შემთხვევების ადგილებზე .აღმოჩენილი ვვამების ცალკეული ნაწილების,სამხედრო ტექნიკით გაჭყლეტილთა რიცხვი – უგზოუკვლოდ დაკარგულთა შესახებ არსებულ ცნობებთან შეპირისპირებით – 140 კაცი, მათ შორის:

18 წლამდე ასაკის – 11
ქალი – 11
მოხუცი – 2

რაც იძლევა საფუძველს კომისიამ მოკლულთა უფრო დიდი რიცხვი დაუშვას, ვიდრე 20 თებერვლისთვისაა მოძიებული.

მრავალრიცხოვან მოწმეთა ჩვენებებით ბევრი დამახინჯებული და სამხედრო ტექნიკით გასრესილი ვვამი და სხეულის სხვა ნაწილებია გატანილი მოვლენათა ადგილებიდან,ჩადენილი მხეცობების დამალვის მიზნით. კომისიის მიერ,უკვალოდ დაკარგულთა რიცხვიდან, დადასტურდა, რომ ადამიანი დაღუპულია (ასე-ზსოლოდ ხელის მიხედვით-ამოცნობილ იქნა ისადიხოვი,რომლის სხეული ღღემდე არაა აღმოჩენილი).

ოკუპანტთა სისხლიანი ტერორი მომდევნო დღეებშიც არ შეწყვეტილა.

დაიწყო ასფ-ს გამგეობის წევრებისა და აქტივისტების მასიური რბევა-დაპატიმრებები. ასფ-ს გამგეობის წევრი-ეტიბარომ მამედოვი,დაპატიმრებულ იქნა მოსკოვში.აზერბაიჯანის სსრ მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში, 25 იანვარს ღამის სამ საათზე. შენობას თავს დაესხნენ საკავშირო სუკ-ის შეიარაღებული მუშაკები. წარმომადგენლობის თანამშრომლები, მათ შორის აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ღ.ლეტუჩაია და კ.გუსეინოვა, გაჩხრიკეს ავტომატმომარჯვებულმა ჯარისკაცებმა. ისინი იქცეოდნენ მხეცებივით,შეურაცხყოფდნენ და ემუქრებოდნენ ხალხს, მათ აიძულეს ორსული ქალი მუხლის ჩოქებზე მდგარიყო... თუმცა იმის შემდეგ რაც ბაქოში მოხდა -„სსრკ-ში პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნის ეპოქაში",„გარდაქმნისა"და„დემოკრატიზაციის" ლოზუნგებით – გასაკვირი აღარაფერია...ახლა ხომ მაინც ნათელია, რომ სცენარი კრემლის მიერაა დამუშავებული; ეს რომ ასეა სტანისლავ გოვორუხინის სტატიიდანაც კარგად ჩანს (მიუხედავად სუსტი მცდელობისა-აზერბაიჯანელ ინტელიგენციას დაბრალდეს მდუმარება <ჩვენი ცნობებით ასფ-სა და საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენლის მიმართვები, მოთხოვნები, პირადი საუბრებია დოკუმენტირებული საკავშირო და რესპუბლიკურ ხელისუფლებასთან-რედაქციის შენიშვნა> და უცხოელებთან მშვიდობისმოყვარეობით გაამართლოს მ.გორბაჩოვი).

გატონ სტანისლავ გოვორუხინს, როგორც რეჟისორს, მე ვუსვამ ორ კითხვას:

1. რამდენი რეპეტიციაა საჭირო კარგი სპექტაკლის დადგმისათვის?

2. დაუშვებს თუ არა იგი მისი გემოვნებით შერჩეული სცენარის ყველაზე სათუთი და რეჟისორის პოზიციის გამომხატველი ნაწილის ისეთი სპეციალისტისათვის ნდობას, ვინც მის პოზიციას არ იზიარებს და რამოდენიმეჯერ„ჩაუგდო" სპექტაკლი?

მეორე კითხვაზე გატონი ს.გოვორუხინი, როგორც კეთილსინდისიერი რეჟისორი, მიპასუხებს, რომ არ ანდობს, და თუ ანდობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას, რაიმე მიზეზთა გამო (მაგ.სხვისი მეშვეობით „ჭკუა ასწავლოს" დემოკრატიულობით გათავხედებულ, კაპრიზულ დასს და მის რამოდენიმე ლიდერს), „ჩავარდნილი"სპექტაკლი დასჭირდება.

ხოლო რაც შეეხება პირველ კითხვას –

სცენარის ავტორებმა – **რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მესვეურებმა**

და რეჟისორმა – **კრემლის ბოლშევიკმა პრეზიდენტმა**

უნდა გაითვალისწინონ, რომ მსგავსი რეპეტიციების შემდეგ სპექტაკლის პრემიერა მათთვის მისტერიულ – იმპერიის ჭეშმარიტი ნგრევის ხასიათს მიიღებს, რამეთუ,საერთოდ, დაკაბალებული ხალხი საშიში დრამატურგია და დღეს ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ყველა დამონებულ ერებში, საკმაოდ მძლავრად იკიდებს ფეხს.

ც.ჟორჟოლიანი
27.02.90.

რით ერთმანეთს ურჩხულის ხახაში. მათაც ეს უნდათ, არა და თქვენმა ჯარისკაცებმა კარგი მაგალითი გვიჩვენეს, იქნებ მიგვეგებაძა მათთვის...

–მოლაპარაკება, რომელიც ბალტიის ქვეყნების ინიციატივით დაიწყო, რატომ ჩაიშალა იგი?

–ღმერთო ჩემო... ქაზიმოვი ადგილს ვერ პოულობს... ხალხო გაიგეთ, ნახჭევანის საზღვრის მოშლისა არ იყოს, რა გულუბრყვილონი ხართ, თქვენ რა, დაიჯერეთ, რომ ეს ჩვენ დავწვით საზღვრის პირას სამხედრო შენობები, დავანგრიეთ და 157 კილომეტრზე გავანადგურეთ საზღვარი? თქვენ რა საზღვარზე არასოდეს ყოფილხართ, ხანუმ? ჩემს ხალხს რუსეთ-ირანის ომის წამოწყების მცდელობა ეგონა ეს. აბა თავად დაფიქრდით? ამბობთ, რომ საზღვარზე ხართ ნაცხოვრები, რამდენი კილომეტრით შეიძლება საზღვარს მიახლოება? თქვენ რა ცენტრალურ პრესას ენდობით? ისინი ხომ არაფერს წერენ მართალს...

–ჩვენზე რომ წერდნენ, ქართველებმა ერთმანეთი გადათელეს და დაწამლესო, ქართველმა კაცებმა ქალები აიფარეს წინ და ისინი დაახოცვინესო, დაიჯერეთ?

–არა და არა, ჩვენ... ქაზიმოვს ვაჩერებ.

–რატომ არაფერი თქვით, როცა თქვენი თანამემამულეების სახელით ანტიქართული წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიაში", თქვენ რა არაფერი იცით? როგორ დატოვეთ ეს ფაქტი უყურადღებოდ, თანაც დიდი ზარზეიმით მიიღეთ როდიონოვი და ლრეობაც კი გაუმართა თქვენმა პირველმა, თურმე... თქვენ რა, მაშინ გჯეროდათ, რომ მხოლოდ ჩვენი ცა მოიღრუბლა და მხოლოდ ჩვენთან შეიძლებოდა მეხი გავარდნილიყო?

–არა, არ გვეგონა და მაინც, ახლა წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება არ შეიძლება, ურთიერთწყენა დავივიწყოთ და ერთად დავდგეთ.

–და მაინც, რატომ არ შედგა მოლაპარაკება, ბალტიის ქვეყნების არაფორმალები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ შეხვედრაზე.

–რატომ და იმიტომ, რომ ძლიერ „მესამეს" არ სურს ორგვალ ძაგიდასთან, სადაც სომეხი და აზერბაიჯანელი დასხდებიან, შედეგიანი მოლაპარაკება შედგეს. იმათ არ აწყობთ ჩვენს შორის მშვიდობა... თანაც ასე შორს რატომ მივდივართ, განა აქ, თბილისში უფრო მოსახერხებელი არ არის, თბილისი უფრო ახლო არ არის, ჩვენ უკეთ არ ვიცით ერთმანეთის ამბავი, ხასიათი... დასხდეთ სამთავენი და მოგვარიგეთ ერთმანეთში, ცხრა მთას იქით რატომ მივდივართ, სწორი არ არის? ისტორიულად ეს ასეა და რათ უნდა ამას მტკიცება, ასეა ეს და ასე სჯერა ჩემს ხალხს...

–აზერბაიჯანელი ხალხი ბევრ რამეში დარწმუნდა, გაგონილს თვალით ნანახი ჯობიაო და აი ჩვენც დავისაჯეთ, ვნახეთ თვალით ის რაც შეეძლო ისეთებს, როგორებიც იაზოვი და ბაკატინია; ჩვენ ხალხს არასოდეს დაავიწყდება მათი ოფიციალური ვიზიტი, ისინი ჩვენთან იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღედგინათ. ვიგემეთ ჩვენ იმპერიის მსხვრევადი ძალა, საკუთარ თავზე ვიგემეთ და ვიცით რას ნიშნავს მათთან პაექრობა. აბა ის კი არ გაიკეთა, რომ დაემშვიდებინა ხალხი, მშვიდობისაკენ მოეწოდებინა, ყველა გზა მოგვისპო, ყველა გზა მოგვიჭრა, ტელევიზიის ბლოკიც კი აგვიფეთქა, როგორღა მიგვემართა ხალხისთვის, როგორღა დაეფაპარაკებოდით ერს. იაზოვს მიაჩნია რომ „ადგვამარცხა", „აღგვიდგინა საბჭოთა ხელისუფლება", სინამდვილეში კი დაგვიხოცა ხალხი და წავიდა...

–რომ იცოდეთ როგორ იქცევიან, გეგონებათ ოკუპირებული ტერიტორიაა აზერბაიჯანი, გეგონება აიღეს ბაქო და... რას აკეთებენ რომ იცოდეთ, როგორ იქცევიან, კომენდანტის საათია და უალკოჰოლო სასმელებიც რომ არ უნდა იყიდებოდეს არყის სადღეგამისო ვაჭრობა აქვთ... არყის გამო ჯარისკაცებს ჩხუბიც კი მოუვიდათ...

–ხალხი?...

–ხალხი ჯერ დუმს, ხალხი გლოვობს, ორმოცი ხომ უნდა გადავიხადოთ. გაფიცვები კიდევ გრძელდება, თქვენ იცით ჩვენი საწარმოთა 97% რომ საკავშირო დაქვემდებარებისაა? რა სიმდიდრის ხალხი როგორი ღარიბები ვართ. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ. ნეტავ იცოდეთ ჩვენი სიმდიდრე რომ მარტო ნავთი არ არის...

–რას ისურვებდით?

–ღმერთი ერთია, ღმერთი გვწყალობდეს, მშვიდობას მოეკიდებინოს ფეხი კავკასიაში, წინ წასულიყოს თქვენი ეროვნული მოძრაობა. თავისუფლებს გვეხილოს ერთმანეთი. თავისუფალი ხალხები არასოდეს ერჩიან ერთმანეთს...

–თავისუფალი მინდა ვიყო, თავისუფლება მწყურია, იმათ საფლავებს შევფიცეთ, რომ თავისუფლები ვიქნებით...

–ამინ!

ესაუბრებოდა ავრორა ფანჩულიძე
25 თებერვალი, 1990 წ.
ქ. თბილისი





ბაქო... ბაქო...



გორბაჩოვისადმი მიწერილი წერილიდან

19-20 იანვარს ბაქოში ჩადენილი ბოროტება საღ აზრს არ ექვემდებარება. ქალაქის ქუჩებში დაიცა ასობით უდანაშაულო მსხვერპლის სისხლი, რომელთა შორის არიან ბავშვები, ქალები, მოხუცები. საშინელებისმომგვრელია ტანკის მუხლუხებში ჩაჭყლეტილთა, ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით პირისპირ დაცხრილულთა გვამები....

თქვენგან, როგორც სახელმწიფოს მეთაურისაგან სანქციირებულ ამ საზარელ დანაშაულს, ამ ომს, არა აქვს, და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება.

ჩვენ ყველაფერს მოვიმოქმედებთ იმისათვის, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობამ გაიგოს სიმართლე, რამეთუ მხოლოდ სირცხვილის ღირსია ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაც იმპერიული მიზნებით, კი არ აქრობს, არამედ, აჩაღებს ერთმაშორის შუღლს; ქვეყანა, რომელმაც თავისი არმია თავისივე მოქალაქეების ჯალათად აქცია, სადაც ადამიანს გაცილებით მეტი უფლება აქვს სიკვდილისა, ვიდრე ღირსეულად სიცოცხლისა...

...დამსჯელი არმიის ბაქოში შეყვანით, სადაც ისინი როგორც ოკუპანტები ისე იქცევიან, თქვენ დისკრედიტაცია გაუწიეთ საბჭოთა ხელისუფლებას, დაადასტურეთ, რომ მისთვის გაუგებარი და უცხოა ისეთი მცნებები, როგორიც სუვერენიტეტი და ერის ღირსებაა. დაადასტურეთ რა თქვენი უძლურება, თქვენ დისკრედიტაცია გაუკეთეთ საკუთარ თავს, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ. თქვენს შესახებ - „მშვიდობისათვის მებრძოლის» მითიც დაიმსხვრა, რამეთუ მკრეხელობაა ასე უწოდო ადამიანს, რომელიც ერთი ხელით საზღვარგარეთის სახელმწიფოსთან მშვიდობაზე აწერს ხელს, ხოლო მეორეთი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ დამსჯელ ქმედებებს აძლევს სანქციას....

გამოვხატავ რა მთელი აზერბაიჯანელი ხალხის ნებას, მე მოვითხოვ ბაქოდან ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას. არც ერთ ერთან, მათ შორის არც აზერბაიჯანელებთან არ შეიძლება იარაღის ენით ლაპარაკი. ეს შეიძლება გაგრძელდეს ათი დღე ან ათი წელი, როგორც ავღანეთში. მაგრამ ადრე თუ გვიან სამართლიანობა იზეიმებს...

ამის რწმენით აღვავლენ მე ჩემს ლოცვებს ყოვლისშემძლე შემოქმედისადმი, შევთხოვ მას უდანაშაულო მსხვერპლთა სულების მარადიულ განსვენებას, მ კვლელების, მათი ორგანიზატორებისა და სულისჩამდგმელების მკაცრ სამსჯავროს.

დე იყოს ჩვენთან მადლი ყოვლისშემძლე ალაჰისა! ამინ!

შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ-შუქურ ფაშა-ზადე, კავკასიელ მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე, სსრკ სახალხო დეპუტატი

СЫРАЛЫХ ДЕЛАМ РЕЛИГИИ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР

УПОЛНОМОЧЕННЫЙ СОВЕТА ПО ГРУЗИНСКОЙ ССР

სახალხო დეპუტატთა . . . . .
რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარეს

გთხოვთ მ.წ. 10 დეკემბრამდე წარმოგვიდგინოთ რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიის 1989 წლის ანგარიში. კომისიის წლიურ ანგარიშში უნდა აისახოს რელიგიური კულტების დარგში რა საკითხები იქნა შესწავლილი, დაყენებული და განხილული აღმასკომისა და კომისიის სხდომებზე, რა მუშაობა ჩატარებული საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების განსამარტავად მორწმუნეებსა და კულტის მსახურებს შორის.

წლიურ ანგარიშში უნდა იყოს მოცემული თქვენს რაიონში (ქალაქში) არსებული რელიგიური ვითარების სრული სურათი ცალკეული კონფესიებისა და რელიგიური მიმართულების მიხედვით, სადაც უნდა აისახოს მორწმუნეთა სოციალური შემადგენლობა, რა რელიგიურ დღესასწაულებსა და წეს-ჩვეულებებს ასრულებენ კულტის მსახურნი. როგორია მათი მოქმედების ფორმები და ქადაგებათა შინაარსი. ტარდება თუ არა მუშაობა სასულიერო პირთა მორწმუნეთა შორის სწორი პოლიტიკური ორგანიზაციისა და მოქალაქეობრივი, პარტიული სულისკვეთების გაღვივების თვალსაზრისით. როგორია კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელების ფორმები და მეთოდები. რამდენი მოქმედი რეგისტრირებული და რამდენი არარეგისტრირებული რელიგიური საზოგადოება (ჯგუფი) ირიცხება თქვენთან. რამდენი ცარიელი, მორწმუნეთაგან გამოსაყენებლად ვარგისი საეკლესიო ნაგებობა ან სამლოცველო სახლია თქვენი რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე.

აღნიშნეთ რა გაკეთდა არარეგისტრირებული მაგრამ ფაქტიურად მოქმედი გაერთიანებათა რეგისტრაციისა და კანონის ფარგლებში მოქცევისათვის, მათ საქმიანობაზე კონტროლის დაწესებისათვის. რამდენჯერ დასვეს მორწმუნეთა ჯგუფებმა რომელიმე ეკლესიის ან სხვა სამლოცველო სახლის გახსნის საკითხი, დაკმაყოფილდა თუ არა მათი თხოვნა და თუ არა, რა მოტივით.

ჰქონდა თუ არა ადგილი კულტის მსახურთა და მორწმუნეთა მიერ კულტის დარგში არსებული კანონმდებლობის დარღვევის ან პირიქით, თანამდებობის პირთა მხრივ ადმინისტრირების ფაქტებს. რა პროფილაქტიკური ღონისძიებები გატარდა კანონმდებლობის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. კანონმდებლობის დამრღვევი ცალკეული ფანატიკოსების თუ სხვა პირების საქმიანობის აღკვეთისა და მორწმუნეთა თვალში მათი მხილებისათვის და ა.შ.

როგორია რელიგიურ საზოგადოების შენობებისა და ქონების დაცვის მდგომარეობა. ჩატარდა თუ არა სრულყოფილი საკულტო ნივთების ინვენტარიზაცია თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებისა, ჰქონდა თუ არა ადგილი ეკლესიებიდან ქონების გატაცება-ქურდობის ფაქტებს და რა ზომები იქნა მიღებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ; როგორ ახორციელებენ თავიანთ მოვალეობას რელიგიურ გაერთიანებებთან არსებული აღმასრულებელი და სარევიზიო ორგანოები; არიან თუ არა ისინი დაკომპლექტებული. მოყვანილია თუ არა სათანადო წესრიგში რელიგიური საზოგადოებებისა და ჯგუფების აღმასრულებელი ორგანოებისა და კულტის მსახურთა დოკუმენტაცია.

იმასთან დაკავშირებით, რომ შეჯამებული წლიური ანგარიში ხელმძღვანელ ორგანოებში წელს წარდგენილ იქნას გაცილებით ადრე, გთხოვთ ზემოთხსენებული მასალები და თანდართული შევსებული სტატისტიკური ფორმები წარმოადგინოთ მითითებულ ვადებში.

დანართი: ფორმები სტატისტიკური მონაცემებისათვის 2 ფ.

საბჭოს რწმუნებული ა. წიკლაური

რედაქციისაგან: ქართველ მორწმუნეთა და საზოგადოებრიობის მოთხოვნით

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს აპარატი მართლაც „გაუქმდა“... მაგრამ, მის ნაცვლად შეიქმნა საქ.სსრ მინისტრთა საბჭოსან არსებული იგივე დანიშნულების ორგანო...

ვფიქრობთ ახალშექმნილი ზედამხედველი უფრო მოდერნიზებულსა და სრულყოფილს გახდის „რელიგიური კულტების, მორწმუნეებისა და კულტის მსახურების «დაცვისადმი» მიმართულ კონტროლს.“

რწმენის გზით...

ერთიანი საქართველოს ცნება სამოციქულო ეკლესიამ დაადგინა საქართველოში: „ქართლად ფრიად ყოველი ქვეყანანი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ – ანუ საქართველო არის ის, სადაც ტარდება ქართულ ენაზე სამოციქულო წესით (ე.ი. მართლმადიდებლური) წირვა-ლოცვა და ქართველი ერი არის ის, ვინც არის წევრი ქართული სამოციქულო ეკლესიისა. ეს ჭეშმარიტება დაამოწმა ისტორიამ: გრიგორიანული ეკლესიის (სომხური ეკლესიის) მიერ მონათლული ქართველები ჩაიწერნენ სომხებად და თავს სომხები უწოდეს, ხოლო სამხრეთ საქართველოში კათოლიკურად მონათლულ ქართველებს ქართველმა ხალხმა ფრანგები უწოდა. ე.ი. ქართული ეკლესიიდან განდგომილებმა ქართველობა დაჰკარგეს. ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სამოციქულო (ანუ მართლმადიდებლური) ეკლესია დედაა ქართველი ერისა – ქართველი ერის სულიერი მშობელია.

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: ვინც ეკლესიას დედად არ მიიღებს, მას ღმერთი მამობას არ გაუწევს. ე.ი. თუკი ქართველ ერს უნდა ღმერთმა უშველოს და ამ საშინელი მონობიდან განათავისუფლოს, ქართველი ერი თავის დედა-ეკლესიაში უნდა დაბრუნდეს – ეკლესიური უნდა გახდეს და თავის დედა-ეკლესიას, ანუ თავის სჯულს, მცველად და დარაჯად დაუდგეს, როგორც ამას გვიანდერძებს დავით აღმაშენებელი: თუ ქრისტეს სჯულის დასაცავად მტკიცედ ვიბრძოლებთ, არამარტო ეშმაკთა ურიცხვ მიმდევრებს, თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და როგორც ამბობს ვახტანგ გორგასალი თავისი ანდერძით: „მტკიცედ სდექით სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდით თავის გაწირვას ქრისტესათვისო.“ წყარო და კანონი სარწმუნოებისა და სჯულისა დედა-ეკლესიაა.

დღეს მიმდინარეობს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ქრისტეს ებრძვის სატანა. ეს ბრძოლა ბიბლიით არის ნაწინასწარმეტყველევი და მასში ქრისტე-ღმერთი, როგორც პავლე მოციქული გვიბრძანებს, თქვენს ფეხებ ქვეშ შემუსრავს სატანას და ვინც ამ ბრძოლაში ქრისტესთანაა, ისინი ქრისტესაგან იწოდებიან რჩეულებად და ერთგულებად, და ისინი იზეიმებენ ღმერთის მიერ ბოროტების დანგრევას.

ბიბლია გვეუბნება, რომ ამ ბოროტების – სატანის ციტადელი დედამიწაზე არის წითელი უღმერთო სახელმწიფოს დედაქალაქი და ჩამოგვითვლის ამ სახელმწიფოს მეფეებს, ანუ სატანის მოციქულებს: ლენინს, სტალინს და მათ პოლტიკას, და რომ მერვე მეფის დროს იქნება ამ სახელმწიფოს და მისი დედაქალაქის ცეცხლით განადგურება ქრისტეს მიერ.

ასევე მიგვითითებს ბიბლია და წმინდა მამათა წიგნები, რომ იქმნება ეკლესიისაგან განდგომილება – მწვალებლობის (სექტანტობის: ბაპტიზმი, ორმოცდაათიანელობა, იაღვეს მოწმენი და სხვა) გამოჩენა და ბოლო პერიოდში, სატანის დანგრევის წინ იქნება ქრისტეს მცნებებისაგან განდგომილი ხალხის სულიერი დაახლოება მწვალებლებთან. ბიბლია მკაცრად გვაფრთხილებს, რომ სულიერად კატეგორიულად გავემიჯნოთ, მაგრამ გვიყვარდეს ისინი, როგორც შეცდომილები. პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში გალატელთა მიმართ (თავი I.6-9), ორგზის შეჩვენებას ადებს მწვალებლებს ანუ სექტანტებს და მათ, ვინც მათთან სულიერი დაახლოებისა და აღრევის თეორიის პროპაგანდას ეწევა (ამ პროპაგანდას ეკუმენიზმი ეწოდება). როგორც ვხედავთ, მწვალებლებთან აღრევის ეს წინასწარმეტყველებაც უკვე სრულდება: ამ დაახლოებას, ანუ მწვალებლებთან სულიერ აღრევას დღეს უკვე ახორციელებენ ეკუმენიზმის გავრცელებით სსრკ კომპარტიის გენერალური მდივანი გორბაჩოვი და რომის პაპი „ძმური“ ალიანსით.

ღმერთი ბიბლიით გვაფრთხილებს, რომ ბოლო პერიოდში ანტიქრისტე შევა თავად ეკლესიაში და იქ დაჯდება და თავს ღმერთად გამოაცხადებს. ამ წინასწარმეტყველების აღსრულების მიმდინარეობას ჩვენ უკვე ვხედავთ. ყველამ იცის როგორ აიძულებენ ეკლესიის მსახურებს იქადაგონ მარქსიზმ ლენინიზმის იდეები. ეკლესია გადააქციონ მარქსიზმ-ლენინიზმის აგიტაციის ადგილად, როგორც მთელ სსრ კავშირში, ასევე საქართველოში (ამის უახლეს მამტკიცებელ საბუთებს აქვე ვაქვეყნებთ); როგორ აიძულებენ ქრისტიანებს აღმასკომში რეგისტრაციის გავლას – (ისე არ ხსნიან ეკლესიას), ანტიქრისტეს ბეჭედის მისაღებად ნამგალი და ურო ვარსკვლავით); კომპარტიის მიერ დადგენილი „კანონმდებლობით“ რელიგიის შესახებ თუკი რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატი რეგისტრაციაში არ აიყვანს სასულიერო პირს და მის საბუთზე ანტიქრისტეს წყეულ ნიშანს – ნამგალსა და უროს არ დაარტყამს, ანუ თუ არ მიაღებინებს ამ წყეულ ნიშანს და წყეულ ცოდვაში არ ჩააგდებს სასულიერო პირს, ისე დიაკვანს, მღვდელს და ეპისკოპოსს ღვთისმსახურების უფლება არ ეძლევა და იგი სასტიკად იდევნება, არსებული „კანონმდებლობით“. აი, ასეთი სურათია მთელ სსრკ-ში და საქართველოშიც. ამიტომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომ მან გააუქმოს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატი საქართველოში. გაანთავისუფლოს ეკლესია ანტიქრისტეს პარტიის-კომპარტიის მარწუხებისაგან. ჩვენ, ქართველმა ერმა, კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ და ვიბრძოლოთ, რათა ჩვენს დედა-ეკლესიას მოვაშოროთ კომპარტიის წყეული ნიშანი – ნამგალი და ურო და ვარსკვლავი და ამით ჩვენი დედა ეკლესია შებილწვას და მონობას გადავარჩინოთ. ეს კი მიიღწევა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატის გაუქმებით საქართველოში, რომლის საშუალებითაც კომპარტია სასტიკად სძარცავს მატერიალურად, ეკლესიას.

ქართველი ერი ღვთისაგან რჩეული ერია, საქართველოზე ბიბლიაში მინიშნებულია, რომ ღმერთი ბოლოჟამს, ისრაელის გაქრისტიანების წინ (რაც უკვე დაწყებულია), საქართველოს გააბრწყინებს ქრისტიანობაში და ეშმაკს გამოგლეჯს-გაანთავისუფლებს მას სულით და ხორცით.

წმინდა წიგნებში მითითებულია წინასწარმეტყველებით, რომ საქართველოში მისი გაბრწყინებისა და განთავისუფლების წინ ჩამობრძანდება ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი, მისი ძალა და მადლი გააბრწყინებს და გაანთავისუფლებს საქართველოს და გაბრწყინებულ და თავისუფალ საქართველოში ჩამობრძანდება და დაემკვიდრება თავად ორიგინალი ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისა.

ჩვენ ვხედავთ, რომ წინამორბედი ძლევამოსილი ხატისა – ასლი ივერიის ღვთისმშობლის ხატისა – საქართველოს განმათავისუფლებელი ძალა უკვე საქართველოშია. კარზეა მომდგარი ჩვენი ერის გრწყინვალების და თავისუფლების ჟამი, და ეს არა ჩვენგან არის, რამეთუ ჩვენ ვართ ერი, რომელიც ღმერთის ეკლესიას განუდგა, რომელმაც ეკლესიები ანგრია და აბანოები აშენა ეკლესიებში და მწვალებლობას – სექტანტობას მიჰყო ხელი, არამედ გაბრწყინვება და განთავისუფლება საქართველოსი, ღვთისაგან – ქრისტესგანაა, მისი მადლით, რათა არავინ იკვეხნოს, ქრისტესგან ამორჩევის მადლით და ძალით, რამეთუ მან აირჩია ქართველი ერი და თავისი დედის, ყოვლადწმინდა მარიამღვთისმშობლის ქვეყნად გამოაცხადა, მან დაგვიმარხა თავის კვართი – კვართი უფლისა ცეტიცხოველში, მან ამეფა ისრაელში მეფობის შემდეგ, დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობა, ქრისტეს ხორციელი გიძაშვილები – ბაგრატიონები საქართველოში, მან მოგვცა წმინდა გიორგი, წმინდა ნინო და ჯვარი ვაზისა და იგია მხსნელი და განმათავისუფლებელი საქართველოსი.

ქრისტე ღმერთი ეკლესიით მოდის ერში – ეკლესიაში წირვის რიტუალის დროს გარდაიქმნება შესაწირავი პური და ღვინო ქრისტეს სისხლად და ხორცად და ამ სისხლის და ხორცის მიღების – შეჭმის და დაღევის საშუალებით ანუ ზიარებით შემოდის ქრისტე თითოეულ ჩვენთაგანში და ქართველ ერში. სხვა გზა ქრისტეს ადამიანში და ერში შემოსვლისა არ არსებობს, როგორც თავად გრძანებს ამას უფალი. ამიტომ, ჩვენ უნდა ვეზიაროთ, მივიღოთ ქრისტეს სისხლი და ხორცი და შემოვუშვათ ჩვენში სატანის მძლეველი მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და ის შემუსრავს ჩვენზედ მოსულ სატანას, ამიტომ ქართველი ერი უნდა ეზიაროს ქრისტეს სისხლს და ხორცს. ყველა სხვა გზა დაღუპვისაკენ მიდის, რადგან მხოლოდ ქრისტეა სატანის მძლეველი და სატანა ებრძვის საქართველოს.

ხოლო ქრისტეს ჩვენში შემოსვლისათვის და ქართველ ერში შემოსვლისათვის უნდა ადგილი გასუფთავდეს ჩვენს სულებში – ანუ ცოდვები უნდა მოვიშოროთ – ეს კი ეკლესიაში ხდება სამღვდელოების წინაშე, სინანულით, აღსარების თქმით და შენდობის ლოცვის მიღებით სამღვდელოებისაგან. ე.ი. პიროვნებამ და ერმა რომ ცოდვები მოიცილოს, მან უნდა თქვას აღსარება ეკლესიაში სამღვდელოების წინაშე და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს ზიარების უფლება. ე.ი. განმწმენდელი ცოდვებისაგან პიროვნებისა და ერისა – ეკლესიაა, აღსარების საიდუმლოს საშუალებით და ქრისტე და მისი ძალა პიროვნებაში და ერში ქრისტეს სისხლისა და ხორცის შეჭმითა და შესმით მოდის – ზიარების საიდუმლოების საშუალებით, რომელიც მხოლოდ ეკლესიაში წირვის დროს სრულდება.

მაშ გავხდეთ ეკლესიურნი ქართველო ერო! აღვასრულოთ აღსარებისა და ზია-

(იხ. მე-8 გვ.)

რების საიდუმლო, შემოვუშვათ ქრისტე მაცხოვარი ჩვენს გულებში და მის საქართველოში რამეთუ ბრძანებს უფალი: „აი ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ, თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გააღებს, შევალ მასთან“ – (გამოცხადება იოანესი – 3.20), შემოვუშვათ იგი ჩვენში და შევიმოსოთ მისი ძალით, რათა დაამხოს ქრისტეს ძალამ საქართველოზე მოწევნული ძალები სატანისა, ამინ!

ბრძანებს უფალი: „ვინც მე მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი, მაშ, ეშურე და მოინანიე“ (გამოცხადება 3.19) – ვუყვარვართ ჩვენ ქრისტეს, აგვირჩია მან, ვუდალატეთ ჩვენ ქართველმა ერმა ქრისტეს მადლობის მაგივრად, მის ეკლესიას განვუდექით, ვანგრიეთ და შევბილწეთ ჩვენივე ხელით. არ გაგვწირა ჩვენ ღმერთმა, არ მოგვსპო, თუმცა კი დავიმსახურეთ ეს, არამედ გვამხილა და გვწვრთნა, რამეთუ მამის სახლიდან – ეკლესიიდან გაქცეულები უმობელმა მგლებმა გვაწამეს და დღესაც სისხლის ჩვენსას აქცევენ და მონობის უღელი გვადგას, მაშ დავუგრუნდეთ მამაჩვენს და მის ეკლესიას – დედას ჩვენსას საქართველოისას, შევიმოსოთ მისი უძლეველი ძალით – ქრისტეს ძალით და ის დაღეწავს უღელს ჩვენი მონობისას.

მაშ მივბრუნდეთ – ეკლესიაში, – ჩვენი თავისუფლების და ძლიერების წყაროში, რომელიც წმინდად შესანახად ჩვენ მოგვანდო უფალმა, მოვაშოროთ მას ჩვენი გულგრილობის და ურწმუნოების გამო სატანისაგან მიყენებული ბილწება, გავანთავისუფლოთ იგი და თავად ქრისტეღმერთი დაანგრევს მტრებს საქართველოისას და შემუსრავს ბორკილებს ჩვენი მონობისას, როგორც შემუსრა გორგასაღისა და აღმაშენებლის დროებში.

მაშ თავისუფლება ქართულ სამოციქულო ეკლესიას და ქრისტე გააბრწყინებს და გაანთავისუფლებს სრულიად საქართველოს.

„სხვა საქართველო სად არის...“

დარეჯან კიკნაველიძე

ამ ლექსების ავტორი მუსულმანი ქართველია. სულვიმან ინაიშვილი, გურჯი, როგორც ეძახიან თურქეთში მაცხოვრებელ ქართველებს; მისი მშობლები 1878 წელს ჩამოსახლებულან თურქეთში. თვითონ 1938 წელს არის დაბადებული, ფაცაში. საქართველოში, რასაკვირველია, ნამყოფი არ არის. მაგრამ დარჩენილი ცხოვრების წლები მას აძლევს სრულ იმედს, რომ იგი ერთხელ მაინც ჩამოვა თავის მიწა-ყალს, თავისი „ნენეის“ მიწაზე, როგორც თვითონ ამობს.

ორი ასეული წელია, რაც თურქეთში, მსოფლიოში ერთ-ერთმა უძლიერესმა რელიგიურმა რწმენამ, ისლამმა თავის მარწუხებში მოიმწყვდია ქართული სული. ყველაფერი წაართვეს ჩვენს ხალხს, ყველაფერს მშობლიურს მოაშორეს, მაგრამ უპირველესად, რჯული შეუცვალეს ალაჰის რწმენა ახლა მტკიცედ ჩაკირულა მათ გონებაში, მაგრამ ენა და გენი კი ვერ დაავიწყეს. სახელიც შეუცვალეს და გვარიც, მაგრამ თავიანთ ნამდვილ ძირს და წინაპარს მაინც ვერ ივიწყებენ. ერთადერთი ოჯახური გარემო ინახავდა მათ ენას. ამიტომაც, გურული თუ აჭარული დიალექტი მათთვის ერთადერთი მშობლიური ენაა. „ჩემი ნენეი“, „ჩემი ციცაი“, „ჩემი ბაღანაი“ ისმის მათ გაფერმკრთალებულ ქართულში, მაგრამ ისე კი, რომ შენ დაგბურძგლოს და გაგაურკოლოს; ცრემლი გახრჩობს და თან გიხარია, ტკივილთან ერთად გიხარია, რადგან გრძნობ, რომ მასაც ახარებს შენთან შეხვედრა. რამდენი სიტყვა უნდა გაიხსენოს ახლა შენთან ერთად, რამდენი რამ უნდა გაიგოს შენგანაც... ენატრებათ ქართული წიგნი და ქართული ანბანი...

ამ ლექსების ავტორს, სულეიმანს, კაცს გურულს, დიდი იუმორითა და ღაზათიანი იერით, ქართული სიტყვისა და ქართული გულის მოსურნეს, ქართული წერა უჭირს, თურქული ანბანით დაუწერია ქართული სიტყვებით. მას უყვარს საქართველო, რომელიც თვალითაც არ უნახავს, ისლამი ვერ მორევია მის სულს, ისლამის მიწიდან წმინდა ილიას უგზავნის ამბორს. მის ლექსებს კომენტარი არ სჭირდება. ერთი ნიშნით შეიძლება მხოლოდ შეფასდეს: ჩვენმა ისტორიულმა მოსისხლე მტერმა, საუკუნეების განმავლობაში რომ გვებრძოდა, თავისი სისხლიანი ეპოპეა დაასრულა იმით, რომ წაიღო ჩვენი მიწები, აჭყარა და გადაასახლა ასი ათასობით ქართველი, მაგრამ იქაც ვერ მოერია ქართული გენის უკვდავებას, რადგანაც ეტყობა ძნელია, ერთობ ძნელი ქართული სულის დამონება.

ლექსების ტექსტი მოგვყავს უცვლელად

წმინდა ილიასადმი

შენ ჩვენო რწმენის აღმშენებელო კათალიკოსო,
შენ ჩვენო განმანათლებელო ქართლის უმფოსო
ჩვენ ღმერთს ვეხვეწებით, წმინდა გიორგის
დაგამსგავსოსო,
შენ მიბრძანე სიტყვა და კისრით დევესო.
შენ საქებელად ჩემი ენა ვერ შეუსტვდება,
აქიდან უნდა გაკოცო ხელზე,
ჩემი გუნება მანდ ვერ მიუსტვდება,
ღმერთის მოციქულო, ჩემგან ბოდიში
ვერ მიხვდები და სიტყვა დამიცდება
შენცე მოცემულო ჭკვით და მიხვდენილობით,
საფლავში მიხვიდო,
მკვდარი ფეხზე წამოგიდგება.
შენ 9 აპრილში ხალხის ერთად დაჯექი ქუჩაში,
შენ თურქეთიდან მადლობას გიგზავნით, მოაწევს
სიტყვაში
გჯერვართ შენს დიდობას, ჭკუა ავსილი გაქვს
შენს თავში
შენ უნდა გადაარჩინო საქართველო, თუ არა
დარჩენილა ტალახში.
საქართველოს ახლა სჭირია შეკავშირება და
ერთობა,
ჩვენ ძმანები ვართ, არ იქნება აფხაზობა,
ოსეთობა და აჭარლობა.
ჩვენ მთელი ქართველი ვართ, შეგვშენდება
ლამაზად მეზობლობა,
გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და თავი-
სუფლება.
ჩვენ ძველი ხალხი ვართ, რატომ არ ვიცით თავის
ფასი
ჩვენი წინაპარი შვიდიათასზე ჩევა, არ გეგონოთ
3 ათასი.
ჩვენ მესოპოტომიას, კაპადოკიის ნამყოფი ვართ,
მერმე ევედით კავკასიაში
აი მსოფლიო ჩვენი იქნება. ჩვენ თუ ჭკუა მოვიკრიფეთ თავში.

9 აპრილი

ჩვენთვის დასავიწყარი დღე არ არის, შავი დღეა
9 აპრილი
იმ დაუმიწყარ დღეში იყო ქართველები ქუჩაში
დაყრილი.
ჩვენი თავისუფლება გვინდაო, ყოლგან ჰქონდათ თა-
ვი მოყრილი
რაფერ დაგვამიწყდება იგი დღეი ჩვენ, ოცი ბავშვი
დავინახეთ მოკლული.
კაი რამე არ გეგონოთ აგი საბჭოთა კავშირი
მუუსვათ უნდა პირზე მაგენს დანაბოლოს
ნახშირი
სულ რომ ტვირთი ჩვენ მოგვკიდეს, გაგვხადეს
მაგენმა ვირი
გადევირჩინოთ უნდა თავი ღმერთით, განა არ
იქნება სულზე ძვირი
რუსეთო, სათამაშო ხალხი არ გეგონოს აკი ჩვენი
ქართველები
ყოველთვი მარჯვედ ვერ იქნები, არ გექნება მიწა
ბრტყელი
ყოველთვინ ირემი ტყეში ვერ იარს, ერთ დღეს ეცემა
კისერში მგელი
თავს მოიყრიან მელიები, მგელი და ტურა დეესევა
მთელი.
ამ მსოფლიოს ხალხებს რატომ აქვთ თვალი
კავკასიაზე
მაგენის ერთად რა საბრძოლო გვაქვ, მიხვ-
დებოდეთ წეტავი შვაზე,
სხვა ხალხებო, თქვენ გიგნებით, ნუ ბეჩობთ,
ჩამოხტით ჭკვაზე
თქვენ თუ ამას ვერ მიხვდებოდით, ჩვენ
შეგატანთ ხელს თმაზე.
ამ მსოფლიოს დედაქალაქობა შეშვენდება ჩვენ
თიფლისს
სამოთხე არის ამ სამყაროს, ჰემ ჰაფხულის, ჰემ
ზამთრის
ყოლიფერს ვიქმთ ლამაზად ჩვენ, ამ ქვეყნის ხალ-
ხები თუ გავხდით
მოგვასწროს უნდა გამჩენმა ღმერთმა გადარჩენა
ჩვენი ქართლის.

თურქეთი, დაბა ფაცა
12.02.90

მიმოხილვა: გედისწერის გავლენა

რა უნდა მოხდეს 1990 წელს. რა ციური მნათობი დაბინავდება ამა ქვეყანასა ზედა. ახლად მიღეული წლის დასასრულის გამანადგურებელი ძალა სახეზეა და აი გამოჩნდა ფუტუროლოგიური წინასწარმეტყველებანი ზოგიერთი მეცნიერი ქალებისა. უტყუარი ინტელექტუალი გარკვეული წრისა ელიზაბეტ ტესიე განსაკუთრებული თვითდაჯერებით იყენებს თავის შანსს. მისი ახალი ნაშრომის გარეკანზე აღნიშნულია- ჩვენი „მკაცრი სიზუსტის“ ასტროარსი. ქალბატონი ტესიე აანალიზებს აგრეთვე მდგომარეობას მსოფლიოში მაგ. მისი ნაშრომის ერთ-ერთ გვერდზე აღნიშნულია: „მე ვამჩნევ, რომ გორბაჩოვის 1990 წ. აგვისტოს ზეცა საზარლად არის გაპობილი... -ემუქრება თუ არა მას ფიზიკური საფრთხე... ნათელხილული განაჩენი მახვილად ეშვება და ჭრის ვითარცა კარაქის დიდ ნაჭერს.. მხოლოდ მომავალი იტყვის ამას ცაო!“

„ლუმანიტე“ ფრანგულიდან თარგმნა
რ. ორაგველიძემ

თეატრი ქართულ საქმეს აკეთებს

ქვემო ქართლი – დმანისის რაიონი

დმანისის, ბოლნისის, მარნეულის რაიონების – სულიერი გარემო დიდხანს იყო არაქართული... და ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ იქ მცხოვრებ იმ ქართველთა წინაშე, რომლებმაც ყოველივეს გაუძღესს, აიტანეს შევიწროვება, არც თუ იშვიათად დამცირებაც... და დღეს საშუალება მოგვეცა მათთან ერთად აქტიურად ვიმოქმედოთ ეროვნული სულის გამფხიზლებისა და აღორძინებისათვის. ამისათვის ცხადია უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრი – სტუდიის გახსნას.

თეატრი – სტუდია „ქვემო ქართლი“ სულ სხვა დანიშნულებისაა, ვინემ ბოლნისში არსებული სახალხო თეატრი. იგი აღზრდის ადგილობრივ პროფესიონალურ კადრებს, რომლებიც თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გათვლიან სპეციალურ მომზადებას.

თეატრის ჩამოყალიბების იდეის ხორცშესხმაში მხარი დაგვიჭირა ყველამ, ვისაც კი ქვემო ქართლის სიკეთე უნდა. ქვემო ქართლში ქართულ ენაზე ამეტყველებული ქართული თეატრი ქართველ მცხოვრებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას, დიდ სიკეთეს მოუტანს, ამიტომაც გადავწყვიტეთ თეატრის გახსნა ილია ჭავჭავაძის „ჩემო კალამოთი“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მცხოვრებლებზე.

მხარში ამოგვიდგნენ და შემდგომშიც ჩვენთან ითანამშრომლებენ ქართული სცენის დიდოსტატები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ყველასათვის სათაყვანებელი ზინა კვერენჩხილაძე, გოგი გეგეჭკორი, გოგი ხარაბაძე, აკაკი ხიდაშელი, გოგი თურქიაშვილი, გივი ჩოგუაშვილი... ახალგაზრდა მსახიობები: ვერიკო შოშიაშვილი, ხათუნა ბოკუჩავა, ბელა ფანჩულიძე, ზაზა მაღალაშვილი; არაპროფესიონალები შიო გელენიძე და მრავალი სხვა.

ჩვენი თეატრი სხვა თეატრებისაგან განსხვავდება თავისი სპეციფიკით: გვეყოლება მოწვეული წამყვანი რეჟისორები, რომლებმაც უკვე დიდი სურვილი გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობისა, ხელშეკრულებით სხვადასხვა თეატრებიდან მოწვეული მსახიობები, რაც სპექტაკლების მაღალ პროფესიულ დონეზე დადგმის საშუალებას მოგვცემს. რეპერტუარში თითქმის მზად გვაქვს ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“ კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ასე, რომ თეატრს დიდი და საინტერესო რეპერტუარი ექნება

თეატრ–სტუდიის სამხატვრო
ხელმძღვანელი
ნანა ბოკუჩავა

რედაქტორი: ნანა ბერიძიანი
ნომერზე მუშაობდნენ:
ავთორა ფანჩულიძე /93-51-82/,
მარინა ონიანი /31-33-54/,
გიგი კორძაძე /34-26-71/;